



TBC ASSET MANAGEMENT

საინვესტიციო ფონდების მიმოხილვა: საქართველოს ბაზრის კონტექსტი

ივლისი 2025

www.tbcamc.ge

ანა კვარაცხელია

დირექტორი,
თიბისი აქტივების მართვა

ირინე კეჟერაშვილი

საინვესტიციო ოფიცერი,
თიბისი აქტივების მართვა

მარიამ ბექაური

უმცროსი საინვესტიციო ოფიცერი,
თიბისი აქტივების მართვა

მოკლე შეჯამება

- საინვესტიციო ფონდები ინვესტიციების მართვის ერთ-ერთი საერთაშორისოდ დამკვიდრებული მექანიზმია, რომელიც გულისხმობს ინვესტორებისგან მოზიდული თანხების **პროფესიონალურად მართულ, დივერსიფიცირებულ აქტივების პორტფელში განთავსებას.**
- 2025 წელს უკვე ჯამში \$2.1 ტრილიონზე მეტი აქტივებით, მანამდე შედარებით ნიშური კერძო საკრედიტო აქტივების კლასი, გლობალური საინვესტიციო სამყაროს ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილად გარდაიქმნა, რომელიც **ცვალებადი ბაზრის პირობებში ინვესტორებს სთავაზობს პროგნოზირებად, მაღალ სარგებელზე ორიენტირებულ შემოსავალს.**
- ისეთი გლობალური მოთამაშეების დაინტერესებამ, როგორებიცაა Apollo, Blackstone, Ares, KKR და სხვები, კერძო საკრედიტო აქტივების კლასი გარდაქმნა მსხვილ, ინსტიტუციურ სეგმენტად. **სამომავლო ზრდის ძირითადი ტენდენციებია საკრედიტო ფონდებისთვის ე.წ. მარადმწვანე (უვადო) სტრუქტურების მეტად დამკვიდრება, მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრაცია და საცალო ინვესტორებისთვის წვდომის გაზრდა.**
- საქართველოს საინვესტიციო ფონდების ბაზარი მკვეთრად გაიზარდა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში და **2024 წლის ბოლოს 204 მილიონი ლარი** შეადგინა, რაც **ძირითადად საკრედიტო და ფიქსირებული შემოსავლიანობის ტიპის ფონდების ზრდით არის გამოწვეული (აქტივების 83%).**
- **თიბისი აქტივების მართვა (TBC AMC)** საქართველოში წამყვანი აქტივების მმართველია, რომელიც ჯამში დაახლოებით **155 მილიონი ლარის აქტივებს მართავს 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით** და 2024 წლის ბოლოს, **ბაზრის 68% წილს** ფლობდა აქტივების მოცულობით.
- თიბისი აქტივების მართვის საკრედიტო ფონდების მომგებიანობა 2025 წლის განმავლობაში საორიენტაციოდ **8.50-9.00%-ის ფარგლებში მერყეობდა (გადასახადებამდე).** აღნიშნული ფონდები სტაბილურად კარგ, რისკებზე მორგებულ ამონაგებს გამოიმუშავებს, რომელიც ძირითადად მსგავსია ან გარკვეულ შემთხვევებში უკეთესი სხვა ადგილობრივ საინვესტიციო ინსტრუმენტებთან შედარებით.
- TBC AMC-ის კერძო საკრედიტო ფონდები **დიდ-წილად იმეორებს საქართველოს საბანკო სისტემაში არსებული აშშ დოლარში დენომინირებული კორპორატიული საკრედიტო პორტფელის გადანაწილებას.**
- TBC AMC-ის ფონდების ინვესტორების **55%-ზე მეტი არარეზიდენტია.** საერთაშორისო ინვესტორების მხრიდან ძლიერი ინტერესი, საქართველოს კაპიტალის ბაზრის მზარდ ტენდენციებს ასახავს.
- TBC AMC-ის დივერსიფიცირებული საკრედიტო პორტფელის მეორადი ბაზრის აქტივობამ **2024 წლის განმავლობაში დაახლოებით 20%-მდე შეადგინა**, რაც საჭარო საინვესტიციო პროდუქტებთან შედარებითაც კი მაღალია, იმის მიუხედავად რომ ეს ფონდები საჭაროდ არ ივაჭრება. ეს მიანიშნებს მოსალოდნელთან შედარებით მაღალ ლიკვიდურობასა და დაინტერესებაზე ინვესტორების მხრიდან.

საინვესტიციო ფონდების მიმოხილვა

რა არის საინვესტიციო ფონდი

საინვესტიციო ფონდები ინვესტიციების მართვის ერთ-ერთი საერთაშორისოდ დამკვიდრებული მექანიზმია, რომელიც გულისხმობს ინვესტორებისგან მოზიდული თანხების პროფესიონალურად მართულ, აქტივების დივერსიფიცირებულ პორტფელში განთავსებას. ფონდებს მართავენ პროფესიონალი აქტივების მმართველები წინასწარ განსაზღვრული სტრატეგიის შესაბამისად, რომლის მიზანია ინვესტორებისთვის შემოსავლის გენერირება რისკების ეფექტურად მართვასთან ერთად. რესურსების აგრეგირებით, ინვესტორებს უჩნდებათ წვდომა უნიკალური აქტივების ფართო არჩევანსა და გამოცდილი აქტივების მმართველების ექსპერტიზაზე, რაც მათ დამოუკიდებლად შეიძლება არ ჰქონდეთ.

ფონდები, როგორც წესი ინვესტიციას ახორციელებენ შემდეგ ძირითად აქტივების კლასებში - აქციები, ფიქსირებული შემოსავლიანობის ინსტრუმენტები, ალტერნატიული აქტივები, და ფულის ეკვივალენტები. ინვესტორს აქციების მეშვეობით აქვს კომპანიაში წილის ფლობის შესაძლებლობა მაღალი ზრდის პოტენციალით (შესაბამისად, მაღალი რისკის სანაცვლოდ), ხოლო ფიქსირებული შემოსავლიანობის ინსტრუმენტები (ობლიგაციები და სხვა სახის სესხები) სთავაზობს შედარებით სტაბილურ შემოსავალს. ალტერნატიული ინვესტიციები მოიცავს ისეთ აქტივებს, როგორიცაა უძრავი ქონება, სასაქონლო აქტივები, კერძო კაპიტალი ან დერივატივები, რაც პორტფელის დივერსიფიცირების დამატებით საშუალებას იძლევა. ამასთან, ნაღდი ფული და ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები წარმოადგენს მოკლევადიან და მაღალ-ლიკვიდურ აქტივებს რაც მნიშვნელოვანია უსაფრთხოებისა და ლიკვიდობის მართვისთვის. ფონდის აქტივების სტრუქტურა დამოკიდებულია ფონდის კონკრეტულ საინვესტიციო მიზანზე - მაგალითად, ზრდაზე ორიენტირებული ფონდი, ძირითადად აქციებში ახდენს ინვესტირებას, ხოლო შემოსავალზე ორიენტირებული ფონდი ობლიგაციებსა და სესხებში.

საინვესტიციო ფონდების ტიპები

ბაზარზე სხვადასხვა ტიპის ფონდები გვხვდება, რომელთაგან თითოეული გათვლილია ინვესტორების სხვადასხვა საჭიროებებზე, რისკის პროფილსა და საბაზრო პრეფერენციებზე. ქვემოთ მოცემულია მსოფლიოში ყველაზე ფართოდ გამოყენებადი ფონდების ტიპების მიმოხილვა:

ფონდები შეთავაზების ტიპის მიხედვით:

- **ერთობლივი ფონდები (Mutual Funds):** ღია ტიპის საინვესტიციო ფონდი, რომლის აქციების შეძენა ან გამოსყიდვა შესაძლოა მოხდეს ყოველდღიურად, პირდაპირ ფონდთან დადებული გარიგებებით აქტივების წმინდა ღირებულების (NAV) სანაცვლოდ. ინვესტირება ხორციელდება აქციებში, ობლიგაციებში ან ორივეში ერთად.
- **საფონდო ბირჟაზე დაშვებული ფონდები (ETFs):** ერთობლივი ფონდების მსგავსი ინსტრუმენტი, თუმცა ფონდის აქციები დღის განმავლობაში ივაჭრება საფონდო ბირჟებზე, რაც ზრდის ლიკვიდურობას და ამცირებს საკომისიო ხარჯებს.
- **კერძო და ჰეჯ-ფონდები:** ფონდები, რომელთა კერძო შეთავაზებაც ხდება მხოლოდ გათვითცნობიერებული ინვესტორებისთვის. ამ ტიპის ფონდებს სტანდარტულად გააჩნია მეტი მოქნილობა და ხშირად უფრო აგრესიულ სტრატეგიებს მიმართავენ ისეთი ამონაგების გამომუშავებისთვის, რომელიც საბაზრო ინდექსებთან ნაკლებად დაკავშირებულია

საინვესტიციო ფონდების ტიპები

ფონდები აქტივების კლასების მიხედვით:

- **ფულადი ბაზრის ფონდები:** დაბალი რისკის მქონე ფონდები, რომლებიც ინვესტიციას ახორციელებენ მოკლევადიან სავალდებულო ინსტრუმენტებში და მიზნად ისახავს კაპიტალის შენარჩუნებას. ფონდები გამოირჩევა მაღალი, ხშირად ყოველდღიური ლიკვიდურობით.
- **ობლიგაციების ფონდები:** ინვესტიციას ახორციელებენ სახელმწიფო, კორპორატიულ და მუნიციპალურ ობლიგაციებში სტაბილური შემოსავლის მისაღებად.
- **სააქციო ფონდები:** ინვესტიციას ახორციელებენ აქციებში და ინვესტორებს სთავაზობენ სააქციო ბაზრის რისკში მონაწილეობას. ისტორიულად, აქციები ობლიგაციებთან ან ფულად ნაკადებთან შედარებით, უკეთეს სარეგებელს გამოიმუშავენ გრძელ ვადაში, თუმცა გაცილებით მაღალი ცვალებადობით და საბაზრო რისკის დონითაც გამოირჩევა.
- **შერეული ფონდები:** ინვესტიციას ახდენენ სხვადასხვა ტიპის აქტივების კლასებში, ძირითადად აქციებსა და ფიქსირებული შემოსავლიანობის მქონე აქტივებში. მიზანია როგორც ზრდის, ისე შემოსავლის გამომუშავება საშუალო რისკის დონის მიღწევით, სხვადასხვა კლასის აქტივებში დივერსიფიკაციის ხარჯზე.
- **კერძო საკრედიტო ფონდები:** კერძო კომპანიების სესხების დაფინანსებით ქმნიან მიმზიდველ საინვესტიციო შესაძლებლობებს. სტანდარტულად უზრუნველყოფილი და ხშირად ინდივიდუალურად შეთანხმებული კრედიტების დაფინანსებით ქმნიან მიმზიდველ საინვესტიციო პორტფელებს. სხვა ტიპის ინვესტიციებთან მიმართებით გამოირჩევა შედარებით მაღალი განაკვეთებით და მაღალი დაცვის მექანიზმებით, თუმცა უმეტესწილად შეზღუდული ლიკვიდურობით.
- **კერძო და ვენჩურული კაპიტალის ფონდები:** კერძო ან საწყისი განვითარების ეტაპზე არსებული კომპანიების მფლობელობაში მონაწილეობით, ახდენენ ინვესტიციებს გრძელვადიან, არალიკვიდურ აქტივებში, რომელთა მიზანაცაა მაღალი ამონაგების გამომუშავება ინვესტიციიდან გასვლისას.
- **სხვა ტიპის ფონდები:** უძრავი ქონების საინვესტიციო ტრასტები (REITs), ფონდთა ფონდები, ინსტიტუციური და სპეციალიზებული ფონდები და სხვა ტიპის ფონდები, რომელთა ფორმა და სტრუქტურა შესაძლოა საგრძნობლად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან.

კერძო საკრედიტო ფონდები

2025 წელს უკვე ჯამში \$2.1 ტრილიონზე მეტი აქტივებით¹, მანამდე შედარებით ნიშური კერძო საკრედიტო აქტივების კლასი გლობალური საინვესტიციო სამყაროს ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილად გარდაიქმნა, რომელიც ცვალებადი ბაზრის პირობებში ინვესტორებს სთავაზობს პროგნოზირებად, მაღალ სარგებელზე ორიენტირებულ შემოსავალს. პანდემიის შემდეგ კერძო საკრედიტო აქტივების კლასი განსაკუთრებით გაიზარდა, რაც ძირითადად განაპირობა საპროცენტო განაკვეთების ზრდამ (რამაც დადებითი გავლენა იქონია კერძო სესხების მომგებიანობაზე და მოიზიდა შემოსავალზე ორიენტირებული ინვესტორები), ტრადიციული საბანკო დაკრედიტების გამკაცრებულმა რეგულაციებმა და როგორც ინსტიტუციური, ისე მაღალშემოსავლიანი ინდივიდუალური ინვესტორების მხრიდან, მზარდმა ინტერესმა, ცვალებად საბაზრო გარემოში პროგნოზირებადი, მაღალი მომგებიანობის მიღებაზე^{2,3}.

კერძო საკრედიტო აქტივების ზრდაში შემდეგი რეგიონული ტენდენციები გამოიკვეთა:

- ჩრდილოეთ ამერიკა რჩება ყველაზე მსხვილ და განვითარებულ ბაზრად (დაახლოებით 1.1 ტრილიონი აშშ დოლარი AUM, რაც საერთო მოცულობის დაახლოებით 2/3-ს შეადგენს), სადაც ლიდერობს აშშ-ის პირდაპირი დაკრედიტებისა და ბიზნესის განვითარების კომპანიები (BDCs).
- ევროპა ასევე სწრაფად ვითარდება, სპონსორებით უზრუნველყოფილი სესხების ზრდით და მსხვილი ფონდების დახურვით აქტივების მმართველების მიერ.
- აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი ჯერჯერობით შედარებით მცირეა, თუმცა სწრაფად ვითარდება - განსაკუთრებით ავსტრალიაში, ინდოეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში რეგულაციების რეფორმა და კერძო კაპიტალის აქტიურობა ზრდის მოთხოვნას მოქნილ კაპიტალზე².

ისეთი გლობალური მოთამაშეების დაინტერესებამ, როგორებიცაა Apollo, Blackstone, Ares, KKR და სხვები⁵, კერძო საკრედიტო აქტივების კლასი გარდაქმნა მსხვილ, ინსტიტუციურ სეგმენტად. სამომავლო ზრდის ძირითადი ტენდენციებია: ^{6,7}

- მუდმივი (Evergreen) და ნახევრად ლიკვიდური ფონდების სტრუქტურები, რომლებიც სთავაზობს ინვესტორებს უფრო მოქნილ და ხელმისაწვდომ საინვესტიციო შესაძლებლობებს.
- ESG-ის ინტეგრაცია, განსაკუთრებით ევროპაში და ინსტიტუციური მანდატების ფარგლებში.
- საცალო სეგმენტის ათვისება, იმის გათვალისწინებით, რომ კერძო კრედიტის კლასი უფრო და უფრო ხელმისაწვდომი ხდება ინდივიდუალური კვალიფიციური ინვესტორებისთვის.

¹ Goldman Sachs | ² KKR | ³ Nortonrosefullbright.com | ⁴ Cambridge Associates | ⁵ S&P Global | ⁶ Alternative Credit Council (AIMA) | ⁷ Financial Times


საინვესტიციო ფონდები საქართველოში

საქართველოს საინვესტიციო ფონდების ბაზარი მკვეთრად გაიზარდა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში და **2024 წლის ბოლოს 204 მილიონი ლარი** შეადგინა, რაც **ძირითადად საკრედიტო და ფიქსირებული შემოსავლიანობის ტიპის ფონდების ზრდით არის გამოწვეული (აქტივების 83%)**¹. ამჟამად, საქართველოში ფუნქციონირებს 10 აქტივების მმართველი კომპანია და 20 საინვესტიციო ფონდი.


საინვესტიციო ფონდებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ ქვეყნის ფინანსური ეკოსისტემის განვითარების პროცესში. ისინი ხელს უწყობენ გრძელვადიანი დანაზოგების დაგროვებას, ინვესტორებს სთავაზობენ ალტერნატიულ საინვესტიციო შესაძლებლობებს და ზრდიან მოთხოვნას ადგილობრივი ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ, რაც ხელს უწყობს საქართველოს კაპიტალის ბაზრის ზრდას.

1. საინვესტიციო ფონდები და აქტივების მმართველი კომპანიები


საინვესტიციო ფონდების ჯამური პორტფელი (მილიონი ლ)




საინვესტიციო ფონდების და აქტივების მმართველების რაოდენობა²



საინვესტიციო ფონდების ჯამური პორტფელი ტიპების მიხედვით (მილიონი ლ)



სავალო/საკრედიტო ფონდები: ბაზრის ყველაზე მზარდი და მსხვილი კატეგორიაა პორტფელის მოცულობით (მილიონი ლ)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, თიბისი აქტივების მართვა

¹საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ) | 2025 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდის მიხედვით, სულ 20 რეგისტრირებული საინვესტიციო ფონდია (ავტორიზებული ფონდის ჩათვლით) და 10 ლიცენზირებული აქტივების მმართველი


თიბისი აქტივების მართვის განვითარება

თიბისი აქტივების მართვა (TBC AMC) საქართველოში წამყვანი აქტივების მმართველია, რომელიც ჯამში დაახლოებით 155 მილიონი ლარის აქტივებს მართავს 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და 2024 წლის ბოლოს, ბაზრის 68% წილს ფლობდა აქტივების მოცულობით. სამ წლიანი გამოცდილებით TBC AMC ინვესტორებს სთავაზობს ალტერნატიულ და დივერსიფიცირებულ საინვესტიციო შესაძლებლობებს საქართველოში, ძირითადად კერძო საკრედიტო და ფიქსირებული შემოსავლის მქონე ფონდების საშუალებით.


2024 წლის მარტში, TBC AMC-მ წარმატებით დახურა პირველი კერძო საკრედიტო ფონდი და შექმნა ორი ახალი საკრედიტო ფონდი. ეს ფონდები გარკვეული ცვლილებებით, თუმცა უმეტესწილად იმეორებს პირველი ფონდის სტრუქტურას.

საინვესტიციო სტრატეგიის მიხედვით, კერძო საკრედიტო ფონდები, არსებული აქტივების 80% აინვესტირებენ უზრუნველყოფილ, არასუბორდინირებულ კორპორატიულ სესხებში, რომელიც გადანაწილებულია სხვადასხვა სექტორებსა და კომპანიებში. აქტივების 20%-მდე ინვესტიცია დაშვებულია ლიკვიდურ აქტივებში, როგორიცაა ფიქსირებული შემოსავლიანობის მქონე ფასიანი ქაღალდები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები, რომლებიც შეიძლება არ იყოს უზრუნველყოფილი.


ძირითადი საინვესტიციო სტრატეგია



უზრუნველყოფილი
სესხები



ლიკვიდური
აქტივები



უცხოური
ვალუტა


საკრედიტო ფონდები



DCP 1

დივერსიფიცირებული საკრედიტო
პორტფელი

ფონდის ტიპი: კერძო საკრედიტო | ვალუტა:
აშშ დოლარი



DCP 2

დივერსიფიცირებული საკრედიტო
პორტფელი 2

ფონდის ტიპი: კერძო საკრედიტო | ვალუტა:
აშშ დოლარი



DCP 3

დივერსიფიცირებული საკრედიტო
პორტფელი 3


ფონდის ტიპი: კერძო საკრედიტო | ვალუტა:
აშშ დოლარი

თიბისი აქტივების მართვის განვითარება

თიბისი აქტივების მართვის საკრედიტო ფონდების მომგებიანობა 2025 წლის განმავლობაში საორიენტაციოდ 8.50-9.00%-ის ფარგლებში მერყეობდა (გადასახადებამდე). აღნიშნული ფონდები სტაბილურად კარგ, რისკებზე მორგებულ ამონაგებს გამოიმუშავებს, რომელიც ძირითადად მსგავსია ან გარკვეულ შემთხვევებში უკეთესი სხვა ადგილობრივ საინვესტიციო ინსტრუმენტებთან შედარებით.

აქტივების მიხედვით შეწონილმა წლიურმა მომგებიანობამ სამივე ფონდისთვის შეადგინა 8.70% აშშ დოლარში (დივიდენდის გადასახადებამდე და კაპიტალურ ამონაგებამდე), რაც საკმაოდ ახლოსაა საქართველოს ყველაზე მაღალი მომგებიანობის მქონე საინვესტიციო აქტივის - საცხოვრებელი უძრავი ქონების მომგებიანობასთან.

2. საპროცენტო განაკვეთების გარემო აშშ დოლარში დენომინირებული შერჩეული ადგილობრივი ინვესტიციებისთვის საქართველოში




წყარო: სებ, თიბისი კაპიტალი, თიბისი აქტივების მართვა

თიბისი აქტივების მართვის განვითარება

TBC AMC-ის კერძო საკრედიტო ფონდები დიდ-წილად იმეორებს საქართველოს საბანკო სისტემაში არსებული აშშ დოლარში დენომინირებული კორპორატიული საკრედიტო პორტფელის განაწილებას. აღნიშნულ ფონდებზე ვრცელდება სექტორული და რისკების დივერსიფიკაციის ლიმიტები და გამიზნულია გათვითცნობიერებულ/კვალიფიციურ ინვესტორებზე¹.

ამჟამად, ფონდების პორტფელში ინდუსტრიების მიხედვით განაწილება დივერსიფიცირებულია და შესაბამისი ლიმიტების ფარგლებშია. აქტივები განაწილებულია ძირითადად შემდეგ ინდუსტრიაში: უძრავი ქონების დეველოპმენტი, უძრავი ქონების მართვა, ვაჭრობა (FMCG), განათლება, წარმოება და სხვა. პორტფელი უმეტესწილად თანხვედრაშია ზოგადად საქართველოს საბანკო სექტორში არსებული აშშ დოლარში დენომინირებული კორპორატიული საკრედიტო პორტფელის განაწილებასთან, გარკვეული გადახრებით ზოგიერთ სექტორში. მაგალითისთვის, ფონდების პორტფელში მეტი წილი უჭირავს ვაჭრობას, ტრანსპორტისა და სხვა ინდუსტრიის, ხოლო ნაკლები -- უძრავი ქონების მართვას, წარმოებას, და სასტუმროების ბიზნესს.

3. აშშ დოლარში დენომინირებული კორპორატიული საკრედიტო პორტფელი სექტორების მიხედვით: თიბისი აქტივების მართვა და საქართველოს ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, თიბისი აქტივების მართვა

¹ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გათვითცნობიერებულ ინვესტორად მიჩნევისთვის, ფიზიკური პირები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კონკრეტულად ერთ ან რამდენიმე მოთხოვნას: (ა) წარმოადგენდეს ფინანსური ინსტიტუტის დირექტორს ან იკავებდეს ავტორიზებული პოზიცია ფინანსურ ინსტიტუტში (ბ) გააჩნდეს 3 მილიონ ლარზე მეტი დადასტურებული აქტივები ან 200,000 ლარზე მეტი წლიური შემოსავალი ბოლო სამი წლის განმავლობაში; ან (გ) აკმაყოფილებდეს კონკრეტულად განსაზღვრული 3 ფინანსური/პროფესიული კრიტერიუმიდან 2-ს. იმისთვის, რომ იურიდიული პირი იქნეს მიჩნეული გათვითცნობიერებულ ინვესტორად, უნდა წარმოადგენდეს ფინანსურ ინსტიტუტს, გააჩნდეს 1 მილიონ ლარზე მეტი კაპიტალი, წარმოადგენდეს საჯარო ორგანოს ან საპენსიო სქემას. ამასთან, შესაძლოა გათვითცნობიერებული ინვესტორის სტატუსის მინიჭებისთვის მისაღები იყოს მსგავსი სტატუსის არსებობა სხვა, განვითარებულ ქვეყნებში ან სხვა კრიტერიუმებით, როგორც განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანებით No 16/01.

თიბისი აქტივების მართვის განვითარება



TBC AMC-ის ფონდების ინვესტორების 55%-ზე მეტი არარეზიდენტია. საერთაშორისო ინვესტორების მხრიდან ძლიერი ინტერესი, ძირითადად ისრაელის და ევროკავშირის ქვეყნებიდან არის, რაც საქართველოს კაპიტალის ბაზრის მზარდ ტენდენციებს ასახავს.

კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის მიხედვით, არა-სახელმწიფო ობლიგაციების ბაზარი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გაიზარდა 2.8x-ჯერ და 1.95 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

4. ინვესტორების განაწილება გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით

რეზიდენტი/არარეზიდენტი
ინვესტორების განაწილება
რაოდენობის და AUM-ის მიხედვით

ინვესტორების რაოდენობა
რეზიდენტობის მიხედვით




წყარო: თიბისი აქტივების მართვა

თიბისი აქტივების მართვის განვითარება

TBC AMC-ის დივერსიფიცირებული საკრედიტო პორტფელის მეორადი ბაზრის აქტივობამ 2024 წლის განმავლობაში დაახლოებით 20%-მდე შეადგინა, რაც საჭარო საინვესტიციო პროდუქტებთან შედარებითაც კი მაღალია, იმის მიუხედავად რომ ეს ფონდები საჭაროდ არ ივაჭრება. ეს მიაწინებს მოსალოდნელთან შედარებით მაღალ ლიკვიდურობასა და დაინტერესებაზე ინვესტორების მხრიდან.

2024 წლის განმავლობაში, ფონდის მეორადი ბაზრის აქტივობა გაცილებით აღემატებოდა ყველა ვალუტაში ადგილობრივი კორპორატიული ობლიგაციების და საქართველოს სახაზინო ობლიგაციების მეორადი ბაზრის აქტივობას და ასევე, ყველაზე ლიკვიდურ აშშ დოლარ/ევროს კორპორატიულ ობლიგაციების 13%-იან მაჩვენებელსაც კი.

5. მეორადი ბაზრის აქტივობა სხვა ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებთან შედარებით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, თიბისი აქტივების მართვა

მეორადი ბაზრის აქტივობის მაჩვენებელი იზომება წლიური გარიგებების ჯამით საშუალო წლიურ დაუფარავ ნასთთან. თიბისი აქტივების მართვის საკრედიტო პორტფელისთვის, კოეფიციენტი გამოთვლილი აქციების რაოდენობიდან ნაცვლად მათი საბაზრო ღირებულებისა აქციების ცვალებადი საბაზრო ფასის გათვალისწინებით (NAV per share).

ფონდის ერთეულების მფლობელებს („ერთეულების მფლობელები“) არ უნდა ჰქონდეთ მოლოდინი, რომ შეძლებენ საკუთარი ერთეულების გაყიდვას მეორად ბაზარზე, მიუხედავად იმისა, თუ როგორ შედეგები ექნება ფონდს. ამჟამად ფონდი არ გეგმავს, დალისტოს თავისი ერთეულები რომელიმე საფონდო ბირჟაზე და ვერ იძლევა გარანტიას, რომ მათთვის მეორადი ბაზარი იარსებებს.

სამართლებრივი შეტყობინება

წინამდებარე პუბლიკაცია („პუბლიკაცია“) მომზადებულია შპს „თიბისი აქტივების მართვის“ („TBC AMC“) მიერ, რომელიც წარმოადგენს TBC Bank Group PLC-ის წევრს, მხოლოდ საინფორმაციო მიზნით. იგი არ წარმოადგენს შეთავაზებას, მოწოდებას ან რეკომენდაციას ნებისმიერი ფინანსური ინსტრუმენტის ყიდვასთან, გაყიდვასთან ან გამოწერასთან დაკავშირებით და ასევე არ ითვალისწინებს კონკრეტული ფიზიკური ან იურიდიული პირის პერსონალურ გარემოებებს, ფინანსურ მდგომარეობას ან საინვესტიციო მიზნებს. არ უნდა დაეყრდნოთ ამ პუბლიკაციას როგორც საინვესტიციო, იურიდიული, საგადასახადო ან ბუღალტრულ რჩევას. მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ, რომ ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებამდე მიმართოთ დამოუკიდებელ პროფესიონალ კონსულტანტს.

საინვესტიციო რისკების გამჟღავნება

ნებისმიერ ინვესტიციას ახლავს რისკები, მათ შორის კაპიტალის დაკარგვის რისკიც, და ინვესტორებმა შეიძლება განიცადონ მნიშვნელოვანი ზარალიც. ინვესტიციების ღირებულება შესაძლოა მერყეობდეს ბაზრის მდგომარეობის ან სხვა ფაქტორების ცვლილების შედეგად, ხოლო წარსული შედეგები არ წარმოადგენს მომავალი შედეგების გარანტიას. ინვესტორებმა უნდა განიხილონ ფონდების საინვესტიციო მიზნები, რისკები და შესაბამისი საკომისიოები მანამ, სანამ მიიღებენ გადაწყვეტილებას ინვესტირებაზე. აღნიშნული ინფორმაცია დეტალურად წარმოდგენილია შესაბამისი ფონდის სარეგისტრაციო დოკუმენტებსა და კერძო განთავსების მემორანდუმებში.

სიზუსტე, წინასწარი შეფასებები და პასუხისმგებლობა

მიუხედავად იმისა, რომ მიღებულია გონივრული ზომები ინფორმაციის სიზუსტისა და სანდოობის უზრუნველსაყოფად, TBC AMC არ იძლევა გარანტიას პუბლიკაციაში მოცემული შინაარსის სრულყოფილებაზე, აქტუალობასა ან სიზუსტეზე. მოცემული ტექსტის გარკვეული ნაწილი შესაძლოა შეიცავდეს მომავალზე ორიენტირებულ განცხადებებს, რომლებიც დამყარებულია პროგნოზებზე და შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან ისეთი ფაქტორების გავლენით, როგორიცაა ბაზრის ცვალებადობა ან ეკონომიკური/რეგულატორული ცვლილებები. TBC AMC არ იღებს ვალდებულებას განაახლოს ან შეასწოროს ეს პუბლიკაცია ახალი ინფორმაციის ან მომავალი მოვლენების საფუძველზე.

თიბისი ბანკის ჯგუფის გარანტიის არქონა

თიბისი ბანკის ჯგუფი არ იძლევა გარანტიას TBC AMC-ის მიერ მმართველობაში მყოფი საინვესტიციო ფონდების შედეგებზე და არ იღებს პასუხისმგებლობას პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებებით გამოწვეულ შესაძლო ზარალზე.

იურისდიქციური შეზღუდვები და შესაბამისობა

წინამდებარე პუბლიკაცია შეიძლება ექვემდებარებოდეს გავრცელების შეზღუდვებს მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად. დოკუმენტის მიმღებმა თავად უნდა უზრუნველყოს, რომ მას უფლება აქვს მიიღოს მსგავსი მასალა თავისი იურისდიქციის კანონმდებლობის შესაბამისად. წინამდებარე დოკუმენტი არ არის მიმართული იმ პირთა ან სუბიექტებისკენ, რომელთა იურისდიქციაში მსგავსი გავრცელება ან გამოყენება ეწინააღმდეგება ადგილობრივ კანონებს ან რეგულაციებს.

წინამდებარე პუბლიკაციაზე წვდომით ადასტურებთ, რომ წაიკითხეთ, გაიგეთ და ეთანხმებით მოცემულ სამართლებრივ შეტყობინებას და აცნობიერებთ, რომ ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება თქვენი პირადი პასუხისმგებლობაა.



TBC ASSET MANAGEMENT

www.tbcamc.ge